Fs 3188

ᲕᲘᲜᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲖᲔᲐ ᲛᲔᲐᲗᲐᲡᲔ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ საქართველოს მანქანათსამშენებლო ინდუსტრიის სიამაყის — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა ახალი ღირსსახსოვარი გამარჯვების მოპოვებით აღნიშნა: ᲐᲮᲬᲣᲚ, ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲘᲜᲕᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲝᲓ ᲩᲐᲑᲐᲠᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲛᲔᲐᲗᲐᲡᲔ, ᲜᲝᲛᲠᲘᲗ 1191-Ე ᲕᲚ-8 ᲢᲘ�პᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ, ᲠᲐᲪᲔᲚᲠᲘᲫᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲝ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ.

ეს დიდი გამარჯვება ელმავალმშენებლებმა მიუძღვნეს სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას.

მეათასე ქართული ელმავლის გამოშვება ქარხნის კოლექტივმა განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, „შინაურული" ზეიმით აღნიშნა, და გასაკვირველი რიდია, რომ ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საცდელი გარბენიდან დაბრუნებასთანავე ელმავალთან მოვიდნენ მისი შემოქმედი ზეინკლები, მეავტომატეები, პნევმატიკოსები, ელექტრომემონტაჟეები, ხუროები, ინჟინრები, ტექნიკოსები, კონსტრუქტორები, ქარხანაში მომუშავე ყველა იმ პროფესიის მაღალკვალიფიციური წარმომადგენლები, რომელთა ხელის სიმარჯვით ბადდება სახელმოხვეჭილი ქართული ᲔᲚ-8 ტიპის ელმავალი, ყველასგან განსხვავებული ვერცხლისფერი ეშვლეთ-მით— „თემქ".

თბილისელი ელმავალმშენებლების სიხარულისა და ზეიმის საბაბი ორგვარია: პირველი ის, რომ ამ მეათასე ელმავლის გამოშვებით მათ დროულად შეასრულეს ახალი ხუთწლედის პირველი თვის—იანვრის გეგმა, საყრილობო შრომითს ვახტზე დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, და მეორეც ის, რომ... მძლავრი, მაღალი საექსპლოატაციო თვისებების, რკინიგზელებში დიდად პოპულარული ქართული მარკის ათასი ლოკომოტივის გამოშვება კომუნისტური მშენებლობის წარმატების საქმეში შეტანილი მცირე წვლილი როდია.

გავიხსენოთ: 34 წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში სულ პირველად ელექტროფიცირებულ სურამის საუღელტეხილო უბანზე პირველმა ელმავალმა გადაიგრიალა. ეს იყო იტალიური წარმოების ელექტროლოკომოტივი, რომელიც საბჭოთა ბაზინას 175 ათასი ოქროს მანეთი დაუჯდა. შემდგომში ამერიკელებისაგან შევიძინეთ ელმავლები, თვითეული 250 ათას ოქროს მანეთად.

და აი დღეისათვის მარტო საქართველოს ლოკომოტივმშენებლებმა უკვე მოგვცეს ათასი ელმავალი, უაღრესად საიმედო, ხანგამძლე და ამტანი ათასი ისეთი ელექტროლოკომოტივი, რომელიც ბევრად უკეთესად შეესაბამება ჩვენი რკინიგზის ექსპლოატაციის პირობებს, ვიდრე უცხოური ლოკომოტივები.

მეათასე ელმავალი საქართველოს ელმავალმშენებლების ოსტატობისა და ტექნიკური სიმწიფის საუკეთესო დოკუმენტია. ამ ელმავლის ყოველ ხრახნში, ყოველ დეტალში ჩაქსოვილია გამოჩენილი ქართველი ელმავალმშენებლების — ᲒᲐᲡᲡᲝ ᲙᲐᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘᲡ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲘᲭᲐᲒᲔᲠᲘᲫᲘᲡ, ᲗᲘᲜᲑᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲒᲣᲠᲑᲔᲜ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ, ათობით და ᲖᲔᲘᲜᲙᲚᲐᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲜᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲠᲝᲚᲘᲐ.

ᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ, ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲝᲜᲐ.

საქართველოს ელმავალმშენებელთა კოლექტივი მრავალრიცხოვანია, ცხადია, ყველას არ ეკუნებოდა საშუალება მეათასე ელმავლის აწყობაზე ემუშავნა, რადგან ქარხნის კოლექტივს მეათასეზედ სხვა ელმავლებიც ხომ უნდა გამოეშვა! მეათასე ელმავლის აწყობაზე მუშაობა წილად ხვდა 19 ბრიგადას, რომელთა ვინაობა ამოუშლელად აღინიშნა ამ დიდი, შესანიშნავი საწარმოს ისტორიაში.

ესენი არიან: ᲐᲜᲖᲝᲠ ᲛᲔᲛᲐᲠᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მემონტაჟეთა, ᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲨᲘᲑᲐᲫᲘᲡ ამწყობზეინკალთა, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲚᲝᲮᲘᲜᲘᲡ დაბალი ძაბვის სისტემის მემონტაჟეთა, ᲨᲝᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მეავტომატეთა, ᲯᲐᲕᲔᲯᲝ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ პნევმატიკოსთა, ᲗᲘᲛᲝᲗᲔ ᲗᲘᲓᲔᲘᲕᲘᲡ მეავტომატეთა, ᲙᲐᲮᲐ ᲤᲘᲪᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მაღალი ძაბვის სისტემის მემონტაჟეთა, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲪᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ, ᲝᲛᲐᲠ ᲮᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲝᲗᲐᲠ ᲙᲕᲘᲜᲢᲠᲐᲫᲘᲡ, ᲕᲐᲡᲝ ᲔᲚᲐᲜᲘᲫᲘᲡ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲔᲪᲮᲝᲜᲘᲫᲘᲡ, ᲨᲝᲗᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲫᲘᲡ, ᲠᲘᲠᲘᲫᲘᲡ, ᲝᲛᲐᲠ ᲮᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲝᲗᲐᲠ ᲙᲕᲘᲜᲢᲠᲐᲫᲘᲡ. ᲕᲐᲡᲝ ᲔᲚᲐᲜᲘᲫᲘᲡ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲔᲪᲮᲝᲜᲘᲫᲘᲡ, ᲨᲝᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲫᲘᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲣᲚᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲣᲚᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ და სახელოვანი ელმავალმშენებლების ᲔᲛᲘᲚ ᲑᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲔᲕᲐ ᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, რაისა ᲒᲣᲜᲐᲫᲘᲡ და მათი ბრიგადირის ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲡᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ბრიგადები.

ეს ერთი ათასი ქართული ელმავალი! კიდევ მრავალ ათასს ასეთს და კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ქართულ ელმავლს მოელის სამშობლო ჩვენი ელმავალმშენებლებისაგან.

Დ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისელი ელმავალმშენებლების მიერ აგებული მეათასე ელმავალი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲛᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ ᲙᲠ ᲓᲠᲣᲖᲘᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ ᲙᲠ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘᲡ. № 26 (13420) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1966 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ 40 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲫᲐᲮᲘᲗ

Გ. ᲣᲡᲣᲑᲐᲚᲘᲔᲕᲘ,
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

1966 წელი ორმხრივ არის ღირსშესანიშნავი ყირგიზეთისათვის. ყირგიზი ხალხი, ისევროორე ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ამავე დროს წელს სრულდება ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ყირგიზეთის კომპარტიის 40 წლისთავი.

ᲩᲕᲔᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲔᲠᲗᲣᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲠᲐᲕᲠᲝᲕᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ 55 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲐᲡᲗᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲩᲐᲠᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲗᲘᲡ.

კიდევ უფრო დიდი წარმატებები გვაქვს ელექტროფიკაციის ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ. რეკორდულიამდელ ყირგიზეთში. წელიწადში კაცზე მოდიოდა ნახევარ კილოვატსაათზე ნაკლები ენერგია. 1965 წელს რესპუბლიკამ აწარმოა 2,3 მილიარდზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია — 1,2-ჯერ მეტი, ვიდრე მთელმა მეფის რუსეთმა 1913 წელს.

დამპროექტებლებსა და მშენებლებს უფრო დიდი გამარჯვებები აქვთ. დიდი წარმატება მოიპოვეს ტოკტოგულის ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ მშენებლებმა. გადახიდულია ყირგიზეთის სწრაფი მდინარე ნარინი, სადაც შენდება შუა აზიის უდიდესი ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲡ კასკადი. ეს ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲡ კასკადი გამოიმუშავებს 4,4 მილიარდ კილოვატსაათ ელექტრონერგიას, ხოლო უზარმაზარ წყალსაცავში დაგროვდება 19 მილიარდი კუბური მეტრი წყალი, რომელიც მორწყავს არა მარტო ყირგიზეთის, არამედ აგრეთვე მეზობელი ᲗᲐᲛᲘᲗᲘ რესპუბლიკების ორ მილიონამდე ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲛᲬᲧᲐᲚᲘ.

ᲡᲐᲠᲘᲒᲐᲪᲘᲝᲜ-ᲣᲜᲘᲜᲓᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ მთელი ჩვენი ქვეყანა ამეგზაურა. ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲠᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲜᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲠᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛᲘ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ, ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ — ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ, ᲡᲐᲧᲠᲔᲚᲝᲑᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ — 1,2-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲗᲚᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ 1913 ᲬᲚᲘᲡ.

ᲓᲐᲛᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲕᲗ. ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲝᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛᲘ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲘᲡ დონის ამაღლებამ, ძირეულმა სოციალურმა გარდაქმნებმა შექმნეს მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აყვავების ყველა პირობა. ორმოც წელიწადში ჩვენმა კულტურამ და ხელოვნებამ დიდი და სასახელო გზა განვლო. რესპუბლიკაში გაიზარდა მეცნიერთა, ინჟინერთა, ექიმთა, მწერალთა, კომპოზიტორთა საკუთარი კადრები. მეტად დამახასიათებელია, რომ ყირგიზეთში ყოველ ათი ათას მოსახლეზე გაცილებით მეტი სტუდენტი მოდის, ვიდრე საფრანგეთში, დანიაში, თურქეთსა და ირანში.

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲗᲘᲡ ᲠᲝᲚᲓᲔᲜᲗᲘᲡᲐᲜᲘ ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲛᲝᲛᲪᲕᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲣᲚ ᲮᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲙᲙᲞ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ.

ᲛᲔᲐᲗᲐᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲘᲗ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲠᲝᲚᲘᲐ.

ᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲡ XXIII ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲕᲮᲐᲠᲯᲝᲗ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ!

ᲬᲐᲠᲗᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობის პასუხად № 8 სამეცრავლო ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ქსოვილების უფრო რაციონალურად გამოკვრით, ნედლეულის, დამხმარე და შესაფუთავი მასალების დაზოგვით მიმდინარე წელს დამატებით გამოუშვას 98.000 მანეთის პროდუქცია.

ეკონომიისათვის ლაშქრობის პირველი შედეგები მოწმობს, რომ მკერავები მტკიცედ არიან პირობაზე. ექსპერიმენტული საამქროს უფროსმა შ. ლეკვთაძემ და თარგების ჩამწყობმა ლ. კაცაძემ ქსოვილების განის მაქსიმალურად გამოყენებით, ტექნიკურ ნორმებთან შედარებით, მარტო ოც დღეში დამატებით დაზოგეს 1.600 მეტრი ქსოვილი, ხოლო ქსოვილების წინასწარ შერჩევა-განგარიშებით და ამ საფუძველზე ნაკრიანობის შემცირებით — 900 მეტრი.

დაზოგილი ქსოვილებიდან დამატებით უკვე გამოშვებულია მამაკაცის 1.000 ცალი ზედა პერანგი. გარდა ამისა, მუყაოს ყუთების დამამზადებელ საამქროში (უფროსი ნ. მატარაძე) დღემდე დაზოგილია 600 კილოგრამი მუყაო.

პირველი დანაზოგები უკვე არის. ეკონომიის ანგარიში იზრდება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘᲐ „ᲚᲣᲜᲐ-9"

ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲒᲐ

1966 ᲬᲚᲘᲡ 31 იანვარს საბჭოთა კავშირში განხორციელდა ავტომატური საგზურის „ᲚᲣᲜᲐ-9"-ის გაშვება.

საგზურზე დადგმულია სამეცნიერო, ტელემეტრიული და სხვა საზომი აპარატურა, რომელიც ერთვება ავტომატურად ფრენის პროგრამის შესაბამისად, აგრეთვე დედამიწიდან მიღებული კომანდათ.

საგზურის ფრენაზე დაკვირვება დედამიწაზე ხორციელდება სპეციალური საზომი კომპლექსით.

გაზომვის დამუშავების წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ საგზური მთავარისაკენ მიფრინავს ტრაექტორიით, რომელიც უახლოვდება კანგარეშებულს. საგზურში დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრის მონაცემებით, 1966 წლის 31 იანვრის 18 საათზე მოსკოვის დროით საგზური „ᲚᲣᲜᲐ-9" იყო დედამიწიდან 34 ათას 130 კილომეტრზე იმ წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია: ჩრდილოეთის განედის 49 გრადუსი და 30 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 74 გრადუსი.

ᲓᲘᲓᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘ

Რ. ᲠᲝᲚᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲕᲐ, 29 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართული საზეიმო სხდომით დამთავრდა დიდი ფრანგი მწერლის რომენ როლანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. აქ შეიკრიბნენ მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, სტუმრები, რათა თავიანთი პატივისცემა გამოეთქვათ დიდი ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიული საზოგადოების უსამართლობასა და პირფერობას.

რ. როლანის შემოქმედებით გზის ანალიზს მიუძღვნა თავისი სიტყვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ი. ანისიმოვმა. სალამოზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი კ. ფედინი, ფრანგული ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ", რომლის დამაარსებელიც რ. როლანი იყო, რედაქტორი Ჯ. ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმარი ვ. გირნუსი, საბჭოთა მწერლები მ. სტელმახი, ე. მეჟელაიტისი, ა. ᲚᲣᲪᲐᲜᲘ. წაიკითხეს აგრეთვე კომპოზიტორ დ. კაბალევსკის სიტყვა „რომენ როლანი და მუსიკა".

საზეიმო სალამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲒᲘᲚᲖᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲡᲐᲛᲐᲠᲙᲚᲘ, 31 იანვარი. (საკდესი). აქ მიღებულია ცნობა, რომ ამერიკაკასიის მაგისტრალის სამტრედიის განყოფილებამ 1965 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲒᲘᲚᲘ ᲓᲙᲘᲙᲐᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ რკინიგზების განყოფილებათა შორის ვაგონების ბრუნვის დაჩქარების მიხედვით.

ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲬᲧᲝᲒᲠᲨᲘ ᲩᲐᲦᲒᲐ

ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘᲜᲘ, (სოკ. ᲙᲝᲠᲠ.). 28 იანვარი. (საკდესის კორ

ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲙᲙᲕ Ც.Კ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ

Გ. ᲯᲣᲡᲝᲔᲕᲘ,
საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲝᲠᲘᲡ რაიონის სოფელი ᲬᲘᲜᲐᲒᲐᲠᲘ ტირიფონის ნოყიერ ველზე მდებარეობს. მისი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. ადრე, სულ 5-6 წლის წინათ, ამ კოლმეურნეობას სათავეში ედგა სოფლის მეურნეობის გამოცდილი ორგანიზატორი ივანე ძუგაევი. მაშინ წინაგრელებს სისტემატურად მოპყავდათ ხორცხილი, სიმინდის, ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი, იზრდებოდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. სწორედ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში გაშენდა „საწარმოო უბანი", როგორც მას სოფლის მკვიდრნი უწოდებენ. „საწარმოო უბნად" იგულისხმება სახბორეები, საძროხეები, საფრინველეები, საღორეები, საკვების შესამზადებელი საამქროები, ტექნიკის შესანახი ფარდულები და სახელოსნოები. ერთი სიტყვით, საქმე კოლმეურნეობაში კარგად მიდიოდა, მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დაუშვა აჩქარება — ზოგიერთი ადგილად გამოსასწორებელი ნაკლის გამო, რაც გამგეობის მუშაობაში იყო, კოლმეურნეობის საერთო კრებას დაეინებით ურჩიეს ი. ძუგაევი გაეთავისუფლებინა თავმჯდომარეობიდან. ამას მოჰყვა არეულ-დარეული კოლმეურნეობაში. თავმჯდომარეები აქ ხშირად იცვლებოდნენ, საქმე კი წინ არ მიდიოდა. წინაგრის კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდა. ბოლოს პარტიის რაიონული კომიტეტი მიხვდა, რომ საჭირო იყო დაებრუნებინათ ძველი თავმჯდომარე, რომელსაც თვით სოფელი მოითხოვდა.

უკვე ორი წელია ი. ძუგაევი მშობლიურ წინაგარს დაუბრუნდა. პარტიულ ორგანიზაციაზე დაყრდნობით თავმჯდომარე ჩვეული ენერგიით შეუდგა კოლმეურნეობის წინწამოწევას. მისი მოსვლა წარმოების ყველა უბანს დაეტყო. კოლმეურნეობამ მარშან მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღო. საგრძნობლად იმატა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ. წინაგრელებმა კარტოფილის სარეკორდო მოსავალი მოიეგეს. ისინი პირნათლად ასრულებენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიეყიდვის ვალდებულებას. მისი კოლმეურნეობა ამ საქმეში ბევრ ადგილს ინაგებს. ეს ადგილი ეკუთვნის ბ. ჩიტიშვილთან, ა. ბ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲒᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲒᲐᲜᲐᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲫᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲘᲜᲐᲗ. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲠᲝᲛ

მშვიდობის საქმის ჭრიუმფი

ტაშკენტის დეკლარაციამ გზა გაუკვლია ინდოეთისა და პაკისტანის სადავო პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით, განაცხადა მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ კ. კამარაჯმა. მასობრივ მიტინგზე მადრასში მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველგვარი ქების ღირსია იმისათვის, რომ ინიციატივა გამოიჩინა ინდოეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელთა ტაშკენტის შეხვედრის მოწყობაში და ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს დეკლარაციის ხელმოწერაში. საბჭოთა კავშირის ინიციატივას, აღნიშნა მან, საფუძველად ედო მოსწრაფება ხელი შეეწყო ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მშვიდობისა და კეთილი ურთიერთობის დამყარებისათვის. კამარაჯმა, როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიის საგენტო მადრასიდან იუწყება, აღნიშნა, რომ ინდოეთსაც გულწრფელად სურს მშვიდობა და მეგობრული ურთიერთობის დამყარება ყველა ქვეყანასთან, მათ შორის თავის მეზობლებთან, და, კერძოდ პაკისტანთან, რათა საშუალება ექნეს იაროს წინ პროგრესის გზით.

ტაშკენტის დეკლარაციამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ქვეყანას შორის მოლაპარაკების გზით შეიძლება გადაიჭრას ყველაზე რთული პრობლემები, განაცხადა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების თავმჯდომარემ კრიშნა მენონმა ამ საზოგადოების მადრასის განყოფილების კონფერენციაზე. „რუსეთის მისწრაფება აზიაში მშვიდობის დამყარებისადმი, — ხაზი გაუსვა მან, — იყო იმის მიზეზი, რომ მან წამოაყენა წინადადება ტაშკენტის შეხვედრის შესახებ, და ეს ინიციატივა არ აიხსნება რაიმე პოლიტიკური მოტივით, რადგან რუსეთი ხალხთა ექსპლოატაციის მოწინააღმდეგეა“. მენონმა ტაშკენტის დეკლარაციას უწოდა „მშვიდობის საქმისა და საღი გონების ტრიუმფი“. კონფერენციას ესწრება თურქმენეთის სს რესპუბლიკიდან ჩამოსული დელეგაცია.

ინდოეთი იცავს მშვიდობისა და თავის მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობის გზით, განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგმა ამრიცსარში გამოსვლის დროს. მან ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთი განუხრელად შეასრულებს ტაშკენტის დეკლარაციას და კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის.

პატარა დაბა კარიმგუნჯი ინდოეთისა და აღმოსავლეთ პაკისტანის საზღვარზე სულ ცოტა ხნის წინათ ხშირი შეტაკებების რაიონი იყო. შეიარაღებულმა კონფლიქტმა შეწყვიტა სავაჭრო ურთიერთობა ორი ქვეყნის სასაზღვრო რაიონების მოსახლეობას შორის. სულ სხვანაირად წარიმართა ცხოვრება დაბაში ტაშკენტის შეხვედრის შემდეგ. შეწყდა სროლა, რომელიც აიძულებდა მცხოვრებლებს სარდაფებში და თხრილებში შეეფარებინათ თავი. გლეხები კვლავ გავიდნენ უანებში და მშვიდობიან შრომას შეუდგნენ.

მეგობრობის სულისკვეთება მკვიდრდება კარიმგუნჯისა და მეზობელი პაკისტანის დაბებისა და სოფლების მცხოვრებთა ურთიერთობაში. ორივე ქვეყნის ახალგაზრდობა ხშირად იკრიბება სასაზღვრო პატარა მდინარის ნაპირებზე, მეგობრულად საუბრობენ. ერთმანეთს ეჯიბრებიან სხვადასხვა ასპარეზობაში. ახალგაზრდობას ხშირად უერთდებიან მოზრდილნი, საპატიო მოხუცები. ყველა ისინი მხურვალედ იწონებენ ახალ გზს ორი ქვეყნის ურთიერთობაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ტაშკენტის სულისკვეთება. ამგვარი სცენები, იუწყება ინდია პრეს ეიჯენსის საგენტო, ამ დღეებში ხდება ინდოეთ-პაკისტანის საზღვრის ყველა სხვა ადგილში. (საკდესი).

ინდირა განდის გამოსვლა მიტინგზე

დელი, 31 იანვარი. (საკდესი). ტაშკენტის დეკლარაცია პირველი ნაბიჯია ინდოეთისა და პაკისტანის სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, განაცხადა გუშინ პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მასობრივ მიტინგზე, რომელიც დელიში გაიმართა „წამებულთა დღის“ გამო. ეს დღე ინდოეთში ყოველწლიურად აღინიშნება 30 იანვარს ინდოელი ხალხის დიდი შვილის მაჰატმა განდისა და სხვა იმ მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას.

ი. განდიმ თქვა, რომ ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი და განვავითაროთ ამ დეკლარაციის შედეგად შექმნილი ვითარება. მან აღნიშნა ინდოელი ხალხის მიღწევები დამოუკიდებლობის წლების მანძილზე, და მოუწოდა მას კიდევ უფრო განავითაროს ეროვნული ერთობა, ებრძოლოს სიღატაკეს, ავადმყოფობასა და უწიგნურობას, გაადიდოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მიაღწიოს უზრუნველყოფილობას და შექმნას ძლიერი ეროვნული ეკონომიკა.

მაჰატმა განდისა და ყველა მებრძოლისათვის, რომლებმაც ინდოეთის დამოუკიდებლობას შესწირეს სიცოცხლე, აღნიშნა ი. განდიმ, საუკეთესო ძეგლი იქნება სიღატაკისა და ჩამორჩენის ლიკვიდაცია ინდოეთში. ინდოეთი კვლავაც გამოჩენილი ხელმძღვანელების მაჰატმა განდისა, ჯავაჰარლალ ნერუსა და ლალ ბაჰადურ შასტრის მიერ ნაჩვენები გზით იარის, თქვა ი. განდიმ.

შეიქმნა ინდოეთ-პაკისტანის მეგობრობის საზოგადოება

დელი, 31 იანვარი. (საკდესი). მთელი მსოფლიოს ხალხები ახლა აღიარებენ, რომ ომი არ არის სადავო საკითხების გადაჭრის საშუალება, განაცხადა გუშინ დელიში ინდოეთის საზოგადოებრივ საქმეთა და საბინაო მშენებლობის მინისტრმა მეარ ნანდ ჯხანამ ინდოეთ-პაკისტანის მეგობრობის საზოგადოების ოფიციალურ გახსნაზე.

მ. ჩ. ჯხანამ იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოების საქმიანობა ხელს შეუწყობს ინდოეთისა და პაკისტანის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ჯარების თავდაპირველ პოზიციებზე დაბრუნების პირველი ფაზა

დელი, 31 იანვარი. (საკდესი). როგორც ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა დადგენილი ვადაში — 30 იანვარს დილით დაამთავრეს ჯარების თავდაპირველ პოზიციებზე დაბრუნების პირველი ფაზა.

თითქმის მთელ ფრონტზე ორივე მხარის ჯარებს ათასი იარდით დაახლოებით ფაქტიური კონტროლის ხაზიდან, და მხოლოდ ამრიცსარსა და ლაპორს შორის უბანზე, სადაც ჯარებს პოზიციები ეკავათ იჩოგილის ყარაულის გასწვრივ, ისინი 200 იარდით დაშორდნენ ამ არხის ნაპირებს.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვრიდან

ПРЕЗИДЕНТ ხო ში მინის წერილი

პანოი, 29 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა 24 იანვარს სოციალისტურ სახელმწიფოთა მეთაურებს წერილი გაუგზავნა ვიეტნამში ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით. ამავე დროს ხო ში მინმა ანალოგიური წერილები გაუგზავნა ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მეთაურებს, მათ შორის იმ სახელმწიფოთა მეთაურებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ჟენევის 1954 წლის თათბირთან.

გავერთიანდეთ დემოკრატიისათვის გრძოლაში!

ათენი. „ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე ცხადია, რომ სამხედროებმა ვერ ამოხსნეს დიქტატურის დამყარების პირდაპირი მაფრთხე“, — ნათქვამია საბერძნეთის ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის აღმასკომის რეზოლუციაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. საბერძნეთის ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის აღმასკომმა აღნიშნა, თუ რა სახიფათოა საბერძნეთის რეაქციის გეგმები კონსტიტუციისთვის და პოლიტიკურ პარტიებსა და საბერძნეთის მთელ ხალხს მოუწოდებს გაერთიანდნენ პარლამენტის არჩევნების მოწყობისათვის ბრძოლის ერთიან ფრონტად.

მიწა—გლეხებს

გუაიაკილი. ეკვადორის ინდიელთა ფედერაციამ ამ ქვეყნის მმართველ სამხედრო ხუნტას ბრალად დასდო, რომ ახორციელებს რეპრესიათა პოლიტიკას ხალხის წინააღმდეგ, ხელს უწყობს შემაძულე-ლატიფუნდისტებს დაიწიოონ გლეხები. ხუნტისათვის გაგზავნილ წერილში ინდიელები უგულებელყოფენ ეგრეთწოდებულ „კანონს აგრარული რეფორმის შესახებ“, რომელსაც „სარგებლობა მოაქვს მხოლოდ ლატიფუნდისტებისათვის და ბოლავეს ინდიელთა და გლეხთა კანონიერ უფლებებს“. (საკდესი).

მ. გლეზოსის განცხადება

პრაღა, 29 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები მოკავშირეებს ეძებენ ვიეტნამის ბინძურ ომში, ამიტომ დაამხეს საბერძნეთის კანონიერი მთავრობა, რათა ხელისუფლება ჩაეგდოთ მარიონეტების ხელში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნებს ასრულებენ, და ჩათრიონ საბერძნეთი ვიეტნამის ავანტიურაში.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა საგენტო იუწყება, ეს გაზეთ „პრაცეში“ განაცხადა ბერძენი ხალხის ეროვნულმა გმირმა მანოლის გლეზოსმა, რომელიც ახლა ჩეხოსლოვაკიაში იმყოფება.

იმპერიალისტებმა ვერ ჩაითრიეს საბერძნეთი ვიეტნამის ომში, ისევე როგორც თავის დროზე ვერ გაგზავნეს ბერძენი ახალგაზრდობა დასახოცად კორეის ომში, თქვა გლეზოსმა.

შეკითხვაზე, თუ როგორ შეეგებენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა საბერძნეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაზე და როგორი მდგომარეობაა კვიპროსში, მანოლის გლეზოსმა უპასუხა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს იმას, რომ თვითონ წესვეტენ, რომელი მთავრობა იქნება საბერძნეთში. საბერძნეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკის ხაზი ვაშინგტონიდან იყო ნაკარნახევი. რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატები უკარნახებდნენ აგრეთვე საბერძნეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვიპროსის საკითხი. ამერიკელებს სურთ კვიპროსი თავიანთ ბაზად გადააქციონ. სამეფო პუტჩი საბერძნეთში სიგნალი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთივე ქუტჩი კვიპროსშიც მოეწყოთ. ამერიკელ მარიოხეტებს უნდა შეეცვალათ მაკარიოსი და მისი მთავრობა. მაგრამ კვიპროსელი და ბერძენი ხალხის ბრძოლამ ჩაფუშა ეს განზრახვა.

ფართოვდება კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ლიბანს შორის. ბეირუთის, ტრიპოლისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისადმი. ამას წინათ ქალაქ ტირში საჯარო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა კომპლექტი საბჭოთა წიგნებისა არაბულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. **სურათზე:** ათვალიერებენ საბჭოთა კავშირიდან ჩატანილ წიგნებს.

ფოტო ბ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოკრონიკა).

ДАМТАВРДА „ექვსეულის“ თათბირი

პარიზი. ლუქსემბურგში დამთავრდა „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, თათბირის მოსაწილეებმა მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებებს იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოაყენა საფრანგეთმა, — ევროპის ეკონომიური გაერთიანების კომისიის როლისა და „საერთო ბაზრის“ ხელმძღვანელ ორგანოებში კენჭისყრის პრინციპის თათბირზე. ეს შეთანხმებანი უნდა მოიწონონ „ექვსეულის“ მთავრობებმა. როგორც ფრანს პრესის საგენტო იტყობინება, საფრანგეთი კვლავ მიიღებს მონაწილეობას „საერთო ბაზრის“ ორგანოების მუშაობაში, რომლებსაც გასული წლის ივნისიდან ბოიკოტს უცხადებდა.

АМЕРИКИС ШЕЕРТОБУЛИ ШТАТЕБИС ОФИЦИАЛУРИ წრეები შეშფოთებული არიან

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეები მეტად შეშფოთებული არიან იმ შედეგების გამო, რომლებიც მოჰყვა ამერიკის ატომური ბომბებით აღჭურვილი თვითმფრინავების ამასწინანდელ კატასტროფას ესპანეთში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ესპანეთის მთავრობამ აკრძალა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ბომბებით აღჭურვილი თვითმფრინავების ფრენა თავის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი ფიფი იუწყება, ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრმა რამოსმა ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე აღძრა ახალი შეთანხმების დაფების საკითხი. ამ შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური იარაღით აღჭურვილი თვითმფრინავეების ამ ქვეყანაში დაჯდომისა და ასეთივე იარაღით აღჭურვილი ბომალდების სავსადგურებში შესვლის წესი. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ ატყობინებენ ფილიპინების ხელისუფლებს ასეთი თვითმფრინავეებისა და ხომალდების ჩასვლას, რაც საშუალებას აძლევს შეერთებულ შტატებს ფაქტიურად უკონტროლოდ გამოიყენონ ფილიპინების ტერიტორია.

სენატორ მორზეს წინადადებანი

ვაშინგტონი. სენატორმა მორზემ სენატში შეიტანა რეზოლუციის ორი პროექტი, რომლებიც შეიცავს წინადადებას ჩამოერთვას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილება ვიეტნამში ომის წარმოების საქმეში, რაც კონგრესმა მიანიჭა მას 1964 წლის აგვისტოში, აგრეთვე დაიწყოს ომის გულდასმით გამოკვლევა, თუ რა როლს ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამის კონფლიქტში. სენატორის წინადადებაა შეიზღუდოს კონგრესის იმ რეზოლუციის დებულებანი, რომლის საფუძველზე პრეზიდენტმა მიიღო უფლება ფაქტიურად ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც ვიეტნამის ომს შეეხება. სენატორს წინადადებაა აგრეთვე დაეკალოს სენატის საგარეო საქმეთა კომისიას „სრულად და დეტალურად გამოიკვლიოს ყველა ასპექტი შეერთებული შტატების პოლიტიკისა ვიეტნამში“. მორზემ დაგმო შეერთებული შტატების „გამოუცხადებელი და უკანონო ომი ვიეტნამში“. (საკდესი).

АМЕРИКИС ШЕЕРТОБУЛИ ШТАТЕБИС САДЕСЕНТО ОПЕРАЦИА

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმომადგენელმა საიგონში გამოაცხადა, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის 4 ათასმა ჯარისკაცმა 28 იანვარს ეერიში მიიტანა სანაპირო რაიონებზე 320 მილზე საიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამით დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სადესანტო ოპერაცია სამხრეთ ვიეტნამში. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტო. საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები გადასხდნენ ნავებზე 20 მილზე ქალაქ კუანგნგაის სამხრეთ-აღმოსავლეთით. (საკდესი).

ნორვეგიის აეროდრომებს იყენებენ ამერიკის ჯაშუში თვითმფრინავები

ოსლო, 31 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ფრიჰეტენმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლიდანაც ჩანს, რომ კეფლავიკში (ისლანდია) განლაგებული ამერიკული ჯაშუში თვითმფრინავები ნორვეგიის ანდეის და ერანლანდენის აეროდრომებს დამბარე ბაზებად იყენებენ. აქ თვითმფრინავები იმარაგებენ საწვავს, მფრინავები ხშირად რჩებიან ღამის გასათევად, თუმცა კეფლავიკის ბაზამდე სულ რამდენიმე საათის სიფრენეა.

ზემოთ მოყვანილი ცნობები გაზეთმა მოწმეებისაგან მიიღო. გაზეთი იუწყება, რომ „ანდეის მოსახლეობას აინტერესებს, თუ როგორ უთანხმებენ ასეთ პრაქტიკას ოფიციალურ პოლიტიკას, რომელიც ერძალავს უცხოეთის ბაზებს.

სხვადასხვა უბედურება არმენეთში

ბუენოს-აირესი. კვლავ უარესდება მდგომარეობა ჩრდილოეთ არგენტინაში, რაც გამოიწვია კოკისპირულმა წვიმამ და წყალდიდობამ. უკვე ორი კვირაა რამდენიმე პროვინციის ტერიტორიაზე არ წყდება დიდი წვიმები. მდინარეების პარანისა და პარაგვაის დონე განუწყვეტლივ მატულობს. წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი რამდენიმე მილიარდ პესოს შეადგენს. ჩაკოს პროვინციაში მთლიანად განადგურდა მზეს უმზირას ნათესები და ბამბის ნათესების 80 პროცენტი. კიდევ უფრო მეტად დაზარალდა კორიენტესის პროვინციაში სხვადასხვა კულტურის ნათესები. ბრინჯით მოთესილი 33 ათასი ჰექტარიდან, გადარჩა მხოლოდ 5 ათასი ჰექტარი. (საკდესი).

ტრაქომა თურქეთში

ანკარა, 29 იანვარი. (საკდესი). თურქეთში მოლიონნახევარი კაცი ტრაქომით დაავადებული, განაცხადა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ე. სომუნოღლუმ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში თათბირზე. თათბირი მიეძღვნა ამ დაავადებასთან ბრძოლის საკითხებს. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრაქომა განსაკუთრებით გავრცელებულია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში.

ტაშკენტის დეკლარაციის ერთთვიურის წინ

დელი, 29 იანვარი. (საკდესი). სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომ თებერვალში მოეწყოს ტაშკენტის დეკლარაციის ერთთვიური, მხურვალედ იწონებს მთელი ინდოეთი. ერთთვიურის მოწყობის იდეას ენერგიულად დაუჭერა მხარი, კერძოდ, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს დელის კომიტეტმა.

მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც ერთთვიურის დროს უნდა გაიმართოს, ინდოეთის საზოგადოებრიობასა განუმარტავენ დეკლარაციის მიზნებსა და ამოცანებს, მისი რაც შეიძლება სწრაფად განხორციელების აუცილებლობას. გადაწყვეტილია გამოვიდეს სპეციალური მრავალტირაჟიანი ბროშურები და ფოტოცლები, რომლებიც პროპაგანდას გაუწევენ ტაშკენტის დეკლარაციას.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის დელის ორგანიზაციამ აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება დეკლარაციის დადებასთან დაკავშირებით პირველ თებერვალს მასობრივი მიტინგი გამართოს დელიში. მიტინგზე გამოვლენ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სვარან სინგვი და თავდაცვის მინისტრი ი. ბ. ჩავანი, რომლებიც მონაწილეობდნენ ტაშკენტის მოლაპარაკებებში.

ინდოეთის მთავრობის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები ხშირად უსვამენ ხაზს ტაშკენტის დეკლარაციის მნიშვნელობას. მაგალითად, ინდირა გამოსვლისას განათლების მინისტრმა მ. ჩაგლამ განაცხადა: ტაშკენტის დეკლარაცია მშვიდობის საქმის დიდი ტრიუმფია, რადგანაც იგი ითვალისწინებს უარის თქმას ძალის გამოყენებაზე ინდოეთისა და პაკისტანის სადავო საკითხების გადაწყვეტისას.

რატომ მოიკლა თავი ამერიკელმა მუშამ კლარკმა

ვაშინგტონი, 29 იანვარი. (საკდესი). ჩიკაგოში ფორდის ავტომობილთა ქარხნის მუშამ 24 წლის კარლ კლარკმა თავი მოიკლა. მიზეზი? ეი რა უამბო რეპორტიორებს. საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელმა რუდოლფ მილაშინმა: „კლარკმა ვერ გადაიხადა გადასახადები. ამიტომ ხელისუფლებამ ჩამოართვეს 20 იანვარს მიღებული ხელფასი. კლარკმა თავის მოკლამდე რამდენიმე საათით ადრე დამირეკა. კრედიტორები მას ნივთების წართმევითაც ემუქრებოდნენ. მან ვერ გადაიხადა ბინის ქირა, და არაფერი რჩებოდა ცოლისა და ოთხი ნული გოგონას სარჩენად. კლარკმა მითხრა, ამის ატანა აღარ შემძლიაო“.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 1964 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავი მოიკლა 20.588 კაცმა.

პრესა აკრიტიკებს პრემიერ-მინისტრ სატოს

ტოკიო, 29 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ბ. ვდოვინი იუწყება: „მისწრაფება, რომელსაც საფუძველად არ უდევს კონკრეტული გეგმები“, — ასე ახასიათებს დღეს იაპონიის პრესა პრემიერ-მინისტრ სატოს საპროგრამო გამოსვლას პარლამენტში.

პრემიერ-მინისტრმა ვერ გაამართლა ჩვენი მოლოდინი, აღნიშნავს სარედაქციო სტატიაში გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი „იომიური“. იგი წლევანდელ მთავარ გამოსვლაში არ შეხებია ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც უნდა აღმოფხვრან მთელი რიგი სიძნელეები, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის.

ეკონომიური დეპარსია, რომლის პირველმა ნიშნებმა თავი იჩინეს შარშან, სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს. მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა შეწყვიტა წარმოება. განუხრელად მატულობს ფასები. ხშირად პრესაში თავს იჩენს ხოლმე გამოთქმა „ინფლაციის საფრთხე“. ყოველივე ეს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს იაპონიაში და საკვირველიც არ არის, რომ გუშინდელი საპროგრამო სიტყვის წარმოთქმისას პარლამენტში, პრემიერ-მინისტრმა სატომ მთავარი ყურადღება დაუთმო საშინაო ეკონომიურ პრობლემებს. მაგრამ, როგორც პრესა აღნიშნავს, თუმცა დაპირებანი არ დაუშურებია, პრემიერს არ უთქვამს, თუ რა უნდა გააკეთოს კონკრეტულად მთავრობამ, რათა იაპონიის ეკონომიკა გამოიყვანოს მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც აღმასავლეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

ჩვენ უზარმაზარი ბიუჯეტის პროექტის განმარტების მოსმენა კი არ გვინდოდა, წერს სარედაქციო სტატიაში „ტოკიო სიმბუნი“, არამედ გვინდოდა გაგვეგო, თუ რა ღონისძიებანი უნდა განახორციელოს მთავრობამ თავისი დაპირებების შესასრულებლად.

გაზეთი „იომიური“ არ იზიარებს პრემიერ-მინისტრის ოპტიმიზმს იაპონიის ეკონომიკის მომავლის თაობაზე და მთავრობას მოუწოდებს საქმით დაადასტუროს თავისი დაპირებანი.

АМЕРИКИС ШЕЕРТОБУЛИ ШТАТЕБИС ХЕЛИКОПТЕРИ ДАШВА

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეები მეტად შეშფოთებული არიან იმ შედეგების გამო, რომლებიც მოჰყვა ამერიკის ატომური ბომბებით აღჭურვილი თვითმფრინავეების ამასწინანდელ კატასტროფას ესპანეთში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ესპანეთის მთავრობამ აკრძალა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ბომბებით აღჭურვილი თვითმფრინავეების ფრენა თავის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი ფიფი იუწყება, ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრმა რამოსმა ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე აღძრა ახალი შეთანხმების დადების საკითხი. ამ შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური იარაღით აღჭურვილი თვითმფრინავეების ამ ქვეყანაში დაჯდომისა და ასეთივე იარაღით აღჭურვილი ბომალდების სავსადგურებში შესვლის წესი. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ ატყობინებენ ფილიპინების ხელისუფლებს ასეთი თვითმფრინავეებისა და ხომალდების ჩასვლას, რაც საშუალებას აძლევს შეერთებულ შტატებს ფაქტიურად უკონტროლოდ გამოიყენონ ფილიპინების ტერიტორია.

სენატორ მორზეს წინადადებანი

ვაშინგტონი. სენატორმა მორზემ სენატში შეიტანა რეზოლუციის ორი პროექტი, რომლებიც შეიცავს წინადადებას ჩამოერთვას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილება ვიეტნამში ომის წარმოების საქმეში, რაც კონგრესმა მიანიჭა მას 1964 წლის აგვისტოში, აგრეთვე დაიწყოს ომის გულდასმით გამოკვლევა, თუ რა როლს ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამის კონფლიქტში. სენატორის წინადადებაა შეიზღუდოს კონგრესის იმ რეზოლუციის დებულებანი, რომლის საფუძველზე პრეზიდენტმა მიიღო უფლება ფაქტიურად ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც ვიეტნამის ომს შეეხება. სენატორს წინადადებაა აგრეთვე დაეკალოს სენატის საგარეო საქმეთა კომისიას „სრულად და დეტალურად გამოიკვლიოს ყველა ასპექტი შეერთებული შტატების პოლიტიკისა ვიეტნამში“. მორზემ დაგმო შეერთებული შტატების „გამოუცხადებელი და უკანონო ომი ვიეტნამში“. (საკდესი).

ВАШИНГТОНИС ДА ПЕКИНИС ШОРИС ВАჭРОБА

ვაშინგტონი, 29 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ვარშავაში ედვარდ სტენლი ბეიტსი ამბობს, ამერიკა ცდილობს ურთიერთობა ჰქონდეს ჩინეთთან, ოღონდ ეს ურთიერთობა ეფუძნებოდეს „ორ ჩინეთს“ — ანუ ჩინეთის ეროვნული რესპუბლიკა (ტაივანი) ცალკე ერად ითვლებოდეს, ანუ ეს ორი ჩინეთი ერთად ითვლებოდეს ერად. ეს ბეიტსი ამბობს ვარშავაში ამერიკელ-ჩინელ მოლაპარაკებებზე.

ამერიკული ნიმუშის მიხედვით

ბერლინი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამერიკელი ჯარისკაცები ბუნდესვეერის სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ემზადებიან საომარი მოქმედებისათვის ვიეტნამში. როგორც ადნის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ბუნდესვეერის მე-3 კორპუსის გაზეთი „ზოლდატენ-კურირი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „რანნ-მაინის“ სამხედრო აეროდრომზე, მაინის ფრანკფურტის ახლოს დასავლეთგერმანელები და ამერიკელები ერთად გადიან წვრთნას. ეს მანევრები წარმოებს იმის მსგავს პირობებში, რომლებიც სჭირდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში. უკვე კარგა ხანია დასავლეთ გერმანიის არმიის გენერლები დიდი ინტერესით ეკიდებიან ამერიკის სპეციალური დანიშნულების ძალების საბრძოლო მზადებას ჯუნგლებში ომის წარმოებისათვის. ასეთი მზადება მიმდინარეობს ფორტბრაგში (ამერიკის შეერთებული შტატები, კალიფორნიის შტატი), და ბად-ტელცის ტყეებში (დასავლეთი გერმანია, ბავარიის მხარე). ეს „ხელოვნები“ მათ სურთ შეასწავლონ ბუნდესვეერის ჯარისკაცებსაც. (საკდესი).

ახალი პროვოკაციები

პანოი. ამერიკის თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა აქვთ მე-7 ფლოტის ხომალდებზე, აგრეთვე ტაილანდსა და სამხრეთ ვიეტნამში, 23 იანვარს პროვოკაციული და ჯაშუშური მიზნებით განგრძობდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შონლის, კუანგბინის, ხატინის, ნგეანის პროვინციებში და ვინლინის რაიონში ფრენას. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. კავშირის მისიამ ამის გამო საპროტესტო წერილი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას.

ГОНИ АФАРТОЕБС САИГОНИСАКЕНИ ДАЧЕМАРЕБАС

ბონი, 29 იანვარი. (საკდესი). ბონის მთავრობა სულ უფრო ფართოდ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას სამხრეთ ვიეტნამში. როგორც პრესა იუწყება, თებერვლის დამდეგს საიგონს გაემგზავრება ბუნდესტაგის დეპუტატი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან პეტრრან ჰეკენდტი.

როგორც ბონის მთავრობის ოფიციალური ბიულეტენი იუწყება, დასავლეთ გერმანიის კაბინეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი შინაგან საქმეთა მინისტრის ლუკეს თავმჯდომარეობით, რომელიც მოამზადებს „საორგანიზაციო ღონისძიებებს“ სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმისათვის დასავლეთ გერმანიის დამარების გასაძლიერებლად.

ДАМТАВРДА ОРИОРИОБА

ДАМТАВРДА ОРИОРИОБА

ДАМТАВРДА ОРИОРИОБА



მ ო ძ მ ე ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ შ ი

სუმგაითი-ასუანი

აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის სატვირთავ მოედანზე მდგომ ლია ვაგონებზე მძლავრი ამწეები აწყობენ მილებს. ვაგონებზე წარწერაა: „სუმგაითი-ს

დ-ალ-ალი". ეს სიტყვები კარგად იციან საბჭოთა ადამიანებმა. ასე უწოდებენ ასუანის მაღლივ კაშხალს, სადაც იგზავნება მილები „სუმგაითის" მარკით.

უკანასკნელ ხანებში ეგვიპტეში 500 ტონა მილები გაიგზავნა.

ამჟამად სუმგაითის მილები იგზავნება 27 ქვეყანაში, მათ შორის აფრიკის შვიდ სახელმწიფოში.

აზერგაიჯანის მხატვრები

აზერბაიჯანის მხატვრულ გამოცემათა მოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკმა" გამოსცა ალბომი „საბჭოთა აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნება". მასში დაბეჭდილია ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების 80-მდე ნაწარმოების რეპროდუქცია.

ალბომი მნახველს აცნობს მ. აბდულაევის „მოხუცის პორტრეტს", ს. ბახლულზადეს „კასპიის ლამაზმანს", ტ. სალახოვის მიერ შესრულებულ კომპოზიტორ ყარა ყარაევის პორტრეტს, ჰ. საბსაის, ფ. აბდურახმანოვის სკულპტურულ ნამუშევრებს და სხვ.

ქასპიელთა ხეთინლედი

ქასპიის საზღვაო ფლოტი მნიშვნელოვნად გადახალისდა შვიდწლეულის შანძილზე. ახლა იგი ძირითადად თანამედროვე ღრმაწყალშიგა ტანკერებისა და ბამბისა და ხე-ტყის საზიდებისაგან შედგება.

ახალ ხეთწლედში ფლოტი კიდევ ხუთ ტანკერს მიიღებს. ამას წინათ ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" გემთმშენებლებმა წყალში ჩაუშვეს კიდევ ერთი დიზელ-ელექტრომავალი-ბორანი „ჰამიდ სულთანოვი". უახლოეს წლებში საეკსპლოატაციოდ გადაეცემა კასპიის ზღვაზე მეორე საბორნო ხაზი ბაკო-მანგაშლაკი.

მნიშვნელოვნად გაიზრდება კასპიის ზღვით ბამბის, ნავთობის, შავი და ფერადი ლითონების გადაზიდვის მასშტაბები.

მეგობრობის დიპლომები

აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტში ბევრი უცხოელ სტუდენტი ეუფლება სასწავლო საქმეს.

ახლახან საგამოცდო კომისიის სხდომაზე ჩინეთელად დაიცვეს საფიპლომო პროექტები ერაყელმა ჰაბუკებმა სალეს ნურალმა, ხასან აბას ალ-კრეელმა, ხასან კადმ ხასანმა და იუხალ სალიმ ალდამ.

ისინი მალე ინკერნის დიპლომით მშობლიურ ქვეყანას დაუბრუნდებიან.

სანლაზეულთა მხარე

ნახჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრავალად არიან ხანში შესულნი, რომლებმაც გადაბიჯეს სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკს. ყოველ ასი ათას მოსახლეზე იქ 112 ის წლის გადაცილებული მოხუცი მოდის. ალიჩის რაიონის სოფელ დაშარაში ცხოვრობს 139 წლის გიულაბატინი. სოფელ კალანის კოლმეურნეებმა იზეიმეს თანასოფლელის ზიულფუგარ ბაბას 126 წლისთავი.

ნახჩევნის მედიცინა სისტემატურად ადევნებენ თვალყურს ხანდაზმულთა ცხოვრებას. ფაქტიური მასალის გაშალეფნებით ისინი აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მ. სულტანოვის ხელმძღვანელობით.

ლითოფონი ნავთოგის ნარჩენეგისაგან

ტრესტ „ორგტენსტროის" ლაბორატორიულ გამოკვლევათა განყოფილების თანამშრომლებმა ინჟინრებმა ა. ბალასანოვმა, ა. სელიმოვმა და ა. მირზამ დაამუშავეს ნავთობქიმიურ საწარმოთა ნარჩენებისაგან ლითოფონის მიღების ახალი მეთოდი.

როგორც ლაბორატორიულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, ახალ ლითოფონს გაცილებით გაუმჯობესებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებები აქვს. იგი სავსებით აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს და ტონა ასეთი ლითოფონი ექვსჯერ იაფი ჯდება.

ლითოფონის სამრეწველო წარმოებისათვის ბალახარის ლაქაჯაურების ქარხანაში დაამონტაჟეს საექსპერიმენტო დანადგარი, მისი წლიური წარმადობა ათასამდე ტონა იქნება. საცდელი ლითოფონი მიღებული იქნება მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

ლაიპციგის გაზეთებზე

ბაკოს კალინინის სახელობის ტელეგრაფარატურისა და ავტომატიკის ხელსაწყოთა ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ევროპის, აზიის და აფრიკის ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

მიმდინარე წელს ბაკოელ ხელსაწყოთმშენებელთა ნახელავი ექსპონირებული იქნება საერთაშორისო სამრეწველო ბაზრობაზე ლაიპციგში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ბაზრობაზე გასაგზავნი ელექტროსენსეტური ხარჩელი უკვე მზად არის.

იზრდება დიდი ქიმიის გიგანტი — სუმგაითის ნავთობქიმკომბინატი, რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ნაწარმი. ჩაბარებულია პირველი ობიექტები — ბენზინის გაუოფის საამქრო, მძლავრი გაზდასაფრაქციებელი დანადგარი, სარემონტო-მექანიკური ქარხანა. „აზნეფტეხიმმონტაჟის" № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშენებლები ცდილობენ რაც შეიძლება მალე დაამთავრონ სამუშაოთა კომპლექსი გაზგანაწილების საამქროში.

სურათზე: ასეთი სახე აქვს ახლა ნავთობქიმკომბინატის ერთ-ერთ უბანს.

ფოტო ა. რახილისა (საკადესის ფოტოკორესპ.).

რუსთაველისადმი მიძღვნილი

ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. კონფერენცია, რომელიც სამ დღეს მუშაობდა, შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა გიორგი ფერაძემ.

გ. ფერაძემ აღნიშნა, რომ ეს არის პირველი კონფერენცია, რომელიც რუსთაველის წელიწადის დაწყებას დაუკავშირდა. საერთოდ, ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭო (თავმჯდომარე პროფესორი ვ. ჩიქოვანი) მეტად კარგ საქმეს აკეთებს. იგი აერთიანებს რესპუბლიკაში მომუშავე სიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის დარგის სპეციალისტებს და ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებ-სესიებს. ამჯერად კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების უმეტესობა რუსთველოლოგიის საკითხებისადმია მიძღვნილი. ჩვენთვის მეტად საინტერესოა გიგოდეთ, რა კავშირი აქვს გენიალურ „ვეფხისტყაოსანს" ხალხურ შემოქმედებასთან, რა შეხედულებისაა ხალხი შოთა რუსთაველზე, ხომ არ დაგვეხმარება პოეტის მეცნიერული ბიოგრაფიის დადგენის საქმეში ის გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები, რაც ასე უხვად შემონახა ხალხის სხეულმა დიდ პოეტზე.

კონფერენციამ ინტერესით მოისმინა პროფესორ ვ. ჩიქოვანის მოხსენება, რომელიც შეეძღვნა შოთა რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის საკითხებს. მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა როგორც ადრინდელ, ისე ახლად მოპოვებულ დიდძალ ფოლკლორულ მასალებს და ნათლად გვიჩვენა, თუ როგორ ჰყავს ხალხს წარმოდგენილი შოთა რუსთაველი, სად დაბადა იგი, როგორ იზრდებოდა, სად სწავლობდა, ვინ იყენენ მისი ახლობლები, როგორ დაწერა „ვეფხისტყაოსანი", სად გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები და სხვ.

„ვეფხისტყაოსნისა" და ქართული ხალხური სამგორო პოეზიის ურთიერთობას შეეძღვნა პროფესორ ძ.ანნა სინაურიძის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა დიდი მსგავსება „ვეფხისტყაოსნისა" ცალკე ეპიზოდებსა და საგმირო ხალხური პოეზიის ნიმუშებს შორის. ერთი მხრივ ნაჩვენები იყო საგმირო პოეზიის ცალკეული ნიმუშები, როგორც წყარო გენიალური პოემისა, მეორე მხრივ კი — რუსთაველის პოემის გავლენა საგმირო პოეზიის სავაჟკაცო კოდექსის გამოსახატვილ ცალკეულ ნიმუშებზე. გავრცელებული ლექსი „ავთანდილ გადინადირა", მისი კომპოზიციისა და ზოგი ენობრივი ნიშნების მიხედვით, მომხსენებელმა მიიჩნია „ვეფხისტყაოსანზე" ადრინდელად, ამასთან ეს სამონადირე ბალადა ხალხური „ტარიელიანისაგან" დამოუკიდებლად არსებობდა.

„ვეფხისტყაოსნისა" და ქართული ხალხური სამეჯხურო პოეზიის ურთიერთობის საკითხზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ელენა ვირსალაძემ. შოთა რუსთაველი უხვად სარგებლობდა საერთული ხალხური სამეჯხურო პოეზიის საერთო ფონდიდან. განსაკუთრებით სტრფიალო ლირიკის საუკეთესო პოეტური სახეები, სიმბოლიკა, ეპითეტები და სხვა ორგანულად აქვს გენიალურ პოეტს შესისხლხორცებული და გადამუშავებული.

კონკრეტული რუსთველოლოგიური, კერძოდ, ტექსტოლოგიური საკითხისადმი იყო მიძღვნილი პროფესორ ი. მეგრელიძის მოხსენება — რუსთაველის „ჰავალი წყლისა". მომხსენებლის აზრით, „ვეფხისტყაოსანში" ნახმარი გამოთქმა „ჰავალი წყლისა" ნიშნავს არა მდინარის ჭავლს, როგორც ამას პოეზის ლექსიკონებში განმარტავდნენ აქამდე, არამედ წყლის ჭავლს ზოგადი მნიშვნელობით, როგორც ეს ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაშია გავრცელებული.

კონფერენციაზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ბარდაველიძის მოხსენებამ — ხალხური და რუსთაველური შაირი.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ილ. მასხარაძემ განიხილა, თუ რა გავლენა მოახდინა „ვეფხისტყაოსანმა" მესხურ პოეზიაზე.

კონფერენციაზე მოისმინეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ბოგოლუბოვის მოხსენება თემაზე — შოთა რუსთაველი ქართულ საბჭოთა ზეპირსიტყვიერებაში. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, თანამედროვე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შექმნილ ლექს-სიმღერებზე, რომლებიც ეძღვნება „ვეფხისტყაოსანსა" და მის გენიალურ შემოქმედს, მეორე მხრივ, აღნიშნა უკვდავი პოემის ის ცხოველმყოფელი გავლენა, რასაც განიცდიან დღესაც თანამედროვე ნიჭიერი მთქმელები და ავტორმოქმედები. დოცენტმა ანტ. ხინოიბიძემ ილაპარაკა აღზრდის საკითხებზე რუსთაველის პოემაში და ხალხურ ვეფხისტყაოსანში.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მაცაბერიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა პეტრე უმიკაშვილის არქივში დაცული ხალხური „ტარიელიანის" ჩანაწერების განხილვას. საინტერესო იყო აგრეთვე ლ. ჭარდენინის მოხსენება, რომელიც ეხებოდა ხალხური ვეფხისტყაოსნის სვანურ ვარიანტებს.

გარდა რუსთველოლოგიური საკითხებისა, კონფერენციაზე მოსმენილი იქნა საყურადღებო მოხსენებები ქართული ხალხური სიტყვიერების ცალკეულ პრობლემებზე: ხალხური შემოქმედების ძეგლებში დამოწმებულ ტოპონიმთა შესწავლისათვის (პროფ. ალ. ღლონტი), აკაკი წერეთლის პოეზია ხალხურ მუსიკაში (პროფ. გ. ჩხიკვაძე), ამირანის თქმულების სკანდინავური პარალელებისათვის (ფილოლოგიურ მეც. კანდიდატი გ. კალანდაძე), ეპიკურ მოწინააღმდეგეთა სახეები აფხაზურ ნართულ ეპოსში (ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი შ. სალაყაია), ქართული საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ზოგიერთი საკითხი (კომპოზიტორი გრ. კოკელაძე), აჭარული საკრწინო სანახობათა გენეზისისათვის (ალ. მსხალაძე), თემური პოეზიის ცისკარიშვილებისეული პირველჩანაწერები (დოც. ეთ. არჯევანიძე); ქართული ხალხური სამეჯხურო პოეზიის ძირითადი სახეები (ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი ფ. ზანდუკელი), ლეგენდის ჟანრობრივი სპეციფიკის პრობლემა (ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი ნ. შამანაძე), ფოლკლორი — ლადო ასათიანის შემოქმედებითი წყარო (ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი გ. ბარნოვი), ქართული სტვირი (გ. როსებაშვილი).

კონფერენციაზე ინტერესით იქნა მოსმენილი მოხსენებები მეგრულ-ლაზური ზეპირსიტყვიერების საკითხებზე (პროფესორი ა. ცანავა, ზ. თანდილავა, გ. ელიავა და კ. სამუშია).

გასულ 1965 წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარდა სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციები, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. კონფერენციის ბოლო სხდომა მიეძღვნა ამ ექსპედიციის ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენას. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდნენ მიხ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე, ბ. ცანავა, ვ. მაცაბერიძე, ალ. გვენცაძე, ო. ჩიჯავაძე, დ. გოგოჭური, ს. ზუსბა, ალ. კიკვაძე, თ. ქურდოვანიძე და ჯ. ჯაფარიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ა. ჩიქობავამ, ა. ბოგორიშვილმა, ა. ბარამიძემ, პროფესორებმა ს. ყაუხჩიშვილმა, გ. ჩიტაიამ, პ. ბერაძემ, ს. ჯიქიამ, ს. ყუბანეიშვილმა და სხვებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა მიხ. ჩიქოვანმა.

ლ. კიკნაძე.

უდაგნო გაიგზარა

ყიზილყუმიდან მოელოდნელი ამბავი მოვიდა: უდაბნოს ცენტრში დედამიწის ზედაპირზე განხდა ღრმა ნაპრალები. ბევრი მათგანი 5-6 სანტიმეტრი სიგანისაა და რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულა.

უდაბნოში წავიდა ექსპედიცია, მაგრამ უცნაური მოვლენის საიდუმლოება კაბინეტში გამომეცადაგდა. ცენტრალური სეისმური სადგურის „ტაშკენტის" გამგემ ვ. ი. ულომოვმა რუკაზე აღნიშნა უდაბნოს ამ ნაწილში მომხდარი ყველა ცნობილი მიწისძვრის ეპიცენტრი და გამოირკვა საინტერესო კანონზომიერება. ყველა ეპიცენტრი მდებარეობდა იმ ვრცელი სივრცის გარშემო, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ არის გადაჭიმული.

— ეპიცენტრთა განაწილების ასეთი სურათი გვხვდება მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მიმდინარეობს მთათწარმოქმნის პროცესები, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან ვ. ნოსოვთან საუბრის დროს ვ. ი. ულომოვმა. — იქ მიწისძვრები მთის ქედების ქვეშ კი არა, მათ გარშემო — დედამიწის ქერქის მსხვილ ჩამონატეხთა გასწვრივ წარმოიშობა ხოლმე.

მაგრამ ამ შემთხვევაში მთები არსად იყო. მთები... მიწისქვეშ აღმოაჩინეს. გეოფიზიკოსებმა დაადგინეს, რომ ქვიშის ქვეშ გრძელდება უყურამინის მთის სისტემა. ახლა მიწისქვეშა მთები ამოძრავდა და ამან გამოიწვია ნაპრალები.

— ჩვენ მთათწარმოქმნის უახლესი პროცესის მოწმენი გავხდით, — თქვა ვ. ი. ულომოვმა. — პირდაპირ ჩვენს თვალწინ ნელა იწევა ზევით დედამიწის ქერქის ერთ-ერთი მონაკვეთი.

ყიზილყუმში ახლა მუშაობენ არა მარტო გეოფიზიკოსები, არამედ აგრეთვე გეოლოგები, გეოქიმიკოსები, ჰიდროგეოლოგები. ისინი აკვირდებიან მიწისქვეშა მთების ზრდას. უდაბნოს ამ მიყრუებული ნაწილის სეისმურობის უკეთესი შესწავლისათვის იქმნება რამდენიმე სამეთვალყურეო სადგური. (საკადესი).

თაშკენტი. 29 იანვარი.

ტალინსა და ლუგანსკში

ტალინში გასულ კვირადღეს შედგა კალათბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობის მორიგი მატჩები ვაჟთა გუნდებს შორის.

რიგის ვეფი-სა და კიევის სკა-ს მატჩის ბედი გადაწყდა დამატებით დროში. გაიმარჯვეს კიელელებმა ანგარიშით 70:68. კაუნასის „ჟალგირისმა" კიდევ ერთი დამარცხება განიცადა, ამჯერად რიგის სკა-სთან 57:61.

თბილისის „დინამოს" პაექრობა ჰქონდა სსრ კავშირის ჩემპიონთან — ცსკა-სთან. გაიმარჯვეს არმიელმა კალათბურთელებმა 92:75. მოსკოვის „დინამომ" წააგო სვერდლოვსკის „ურალმაშთან" 65 : 80.

ლუგანსკში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა მესამე ტურში დაამარცხა კუნასის „პოლიტექნიკური" 51 : 50.

მოჭიდავეთა ჯურნირი

თბილისის საერთაშორისო...

ბარბი ტრადიცია დამკვიდრდა — თითქმის ყოველწლიურად თბილისში თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მოჭიდაველები საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც არაოფიციალურ მსოფლიოს პირველობას უწოდებენ. ეს ასპარეზობა პირველ რიგში საყურადღებოა იმითაც, რომ იგი ძალთა ერთგვარ მოსინჯვას წარმოადგენს, ამასთანავე მეტოქეები უფრო ახლოს ეცნობიან ერთმანეთს.

ასლანდელი ტურნირი, რომელიც გასულ კვირადღეს საზეიმოდ გაიხსნა თბილისის სპორტის სასახლეში, საფუძვლიანად მეხუთეა. ჩვენი სტუმრები არიან ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და ირანის მოჭიდაველები. ეს გუნდები ნაცნობია თბილისელთათვის, მაგრამ მათ რიგებში არის გარკვეული სიახლეები, რაც ტურნირს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

შემადგენლობათა სიძლიერით ფავორიტებად თვლიან სსრ კავშირისა და ირანის გუნდებს. ირანის გუნდი, რომელიც თითქმის ყველა ადრინდელი ტურნირის მონაწილეა, კვლავ რჩება ჩვენი მოჭიდაველების მთავარ მეტოქედ. ორივე გუნდს აკლია რამდენიმე წამყვანი მოჭიდავე. მაგალითად, სსრ კავშირის გუნდში ვერ ვხედავთ ბერიაშვილს, საღარაძეს, ლომიძეს.

სტარტზე გამოვიდა 70-მდე თავისუფალი სტილით მოჭიდავე. როგორც წესი, ტურნირი უმჩატესი წონის მოჭიდაველებმა გახსნეს. ამ წონითის კატეგორიაში გამოვიდა 4 წყვილი. საბჭოთა გუნდის ორი წარმომადგენლის კარპოვისა და შეყრილაძის ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა ფრედ. აღმავლობით იბრძოდა ირანელი შაანმი პურასტოლა ჩეხოსლოვაკიელ ლასლოსთან. დიდი უპირატესობით გამარჯვება პურასტოლას ხვდა. ასევე დიდი უპირატესობით სსრ კავშირის ჩემპიონმა ალიგებგბაშვილმა მოუგო ილურიძეს.

მომდევნო წონაში ორი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ეს იყო კორბანა-ბაბაულიშვილისა და ალექსეევ-გოგიჩაიშვილის წყვილები. დანარჩენ ორ წყვილში გაიმარჯვეს მონღოლეთისა და ირანის წარმომადგენლებმა — სუხო ბატორმა და აბუთალები ტალიბამ. ქვემსუბუქ წონაში ყურადღება მიიპყრო ცნობილი ირანელი მოჭიდავის ბეშტანინის და ყმარლაშვილის ძეგიბრაგიმ, სადაც წარმატება ქულებით ყმარლაშვილს ხვდა. სსრ კავშირის ჩემპიონის ქარსპულიძის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა მონღოლეთის მოჭიდავე ბაბბაი და დამარცხდა. ერმოლაევმა 7 წუთსა და 25 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა ენხელთან (ჩეხოსლოვაკია).



განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ მსუბუქ წონაში ხოსაშვილისა და გუსეინის შეხვედრას. შეჯიბრება ფრედ დამთავრდა. ასეთი შედეგი იქნა ფიქსირებული აგრეთვე სრულერისა (მონღოლეთი) და ბინბაალოვის (ბულგარეთი) შეხვედრაში. არაერთი მიმზიდველი ბრძოლის მოწმენი ვიყავით სხვა წონებშიც.

გუშინ უძლიერესთა ტურნირი გრძელდებოდა. გაიმართა მორიგი შეხვედრები.

მსუბუქი, ქვესაშუალო, საშუალო, ქვეშძმე და ძმიმე წონის მოჭიდაველებმა გამართეს მეორე წრის შეჯიბრება, ხოლო გვიან დამით შედგა მესამე წრის ასპარეზობა უმჩატესი, მჩატე და ქვემსუბუქი წონის მოჭიდაველთათვის.

მსუბუქ წონაში წარმატებით გამოვიდნენ ხოსაშვილი, ბობაკა და პანნი (პოლონეთი), ხოლო ბინბაალოვისა (ბულგარეთი) და ალი მამმნის ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ. ქვესაშუალო წონაში წმინდა გამარჯვება მოიპოვა ბულგარელმა დიმიტროვმა. მან მეორე ტურში ასპარეზობა ვერ გაუძლო ირანელ ბეშტანინს. ეს ბრძოლა ფრედ დამთავრდა. ბეშტანინი ერთ-ერთ ძლიერ მეტოქეს ხვდებოდა. ბეშტანინ-ალი ბრძოლა ფრედ დამთავრდა. ალი ბეშტანინს